ანგარიში

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,
ალეკო თამაზაშვილის 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ოქტომბრამდე
გაწეული მუშაობის
შ ე ს ა ხ ე ბ

მოგესალმებით, ძვირფასო სტუმრებო და ავტომშენებლის ოლქის მაცხოვრებლებო, როგორც თქვენი მაჟორიტარი, მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია იმ სამუშაოებისა და პროექტების შესახებ, რომლებიც ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა და კონკრეტული შედეგები მოიტანა, რადგან მაჟორიტარობა ეს არის თითოეული მოქალაქის წინაშე ჩემი პასუხისმგებლობა, ვალდებულება მოვისმინო და გავიზიარო ადამიანების პრობლემები და შევეცადო შესაძლებლობის ფარგლებში მათ მოგვარებას.

ავტომშენებლის ოლქში განხორციელდა და დასრულდა არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი, ასევე განხორციელდა სოციალური მხარდაჭერა, რომელიც ჩვენი ოლქის მოსახლეობის საჭიროებებსა და ინტერესებზე არის მორგებული.

დღეს წარმოგიდგენთ დეტალურ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა, რა შედეგები მივიღეთ და რა გეგმები გვაქვს სამომავლოდ.

ჩემი, როგორც მაჟორიტარის, მთავარი პრიორიტეტი ყოველთვის იყო და კვლავაც რჩება ავტომშენებლის ოლქის მოსახლეობის ინტერესების დაცვა, მათი საჭიროებების გათვალისწინება და არსებული პრობლემების ეტაპობრივი მოგვარება. ამ მიმართულებით ვცდილობ, მაქსიმალურად ეფექტურად ვიმუშაო როგორც საკრებულოს წევრმა, რათა მოსახლეობის საჭიროებები შესაბამის უწყებებამდე მივიტანო და მათი გადაჭრის გზების მოძიებაში აქტიურად ვიყო ჩართული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია განხორციელებული და მიმდინარე სამუშაოების შესახებ:

ინფრასტრუქტურული მიმართულებით:

ავტომშენებლის ოლქში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი, მათ შორის:

- ✓ ფერაძის და აბულაძის ქუჩებზე ანაფრეზი;

დასრულდა:

- ✓ ორბელიანის ქუჩაზე (მე-14 სკოლის გვერდით) სპორტული მოედნის მოწყობა-რეაბილიტაცია;
- ✓ დადიანის ქუჩა N59-ში -სპორტული მოედნის რეაბილიტაცია;
- ✓ ცახელის ქუჩაზე -სპორტული მოედნის რეაბილიტაცია;
- ✓ ჩხობაძის ქუჩა მე-3 შესახვევი-ტრენაჟერების რეაბილიტაცია;
- ✓ ხარებავას ქუჩაზე N43 (ჰუალინგის წინ) მოეწყო კუნძული;

დასრულდა პარაპეტების და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია:

- ✓ ხარებავას ქუჩა N5ბ-ში;
- ✓ ხარებავას ქუჩა N23-ში;
- ✓ ხარებავას ქუჩა N43-ში;
- ✓ ავტომშენებლის N34-ში;

დასრულდა საცხოვრებელი კორპუსების შიდა გზების რეაბილიტაცია:

- ✓ ხარებავას ქუჩა N18;
- ✓ ხარებავას ქუჩა N19-სა და ხარებავას ქუჩა N20-ს შორის;
- ✓ ავტომშენებლის ქუჩაზე N38- სა და დადიანის ქუჩა N3-ს შორის გაკეთდა ახალი ხიდი;
- ✓ ხარებავას ქუჩა N 9 -ახალი ხიდი;
- ✓ ფურცელაძის ქუჩაზე N 101-ში დამთავრდა საყრდენი კედლის მშენებლობა;

განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია:

- ✓ ხარებავას ქუჩა N 41;
- ✓ ხარებავას ქუჩა N 11;
- ✓ ჩხობაძის ქუჩა N11;
- ✓ ჩხობაძის ქუჩა N 2;

მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე,

- ✓ შერვაშიძის ქუჩაზე მოხდა საფეხმავლო ბილიკის მოწყობა;
- ✓ ხარებავას ქუჩა N18-დან კადეტთა სამხერო ლიცეუმამდე გაკეთდა მისასვლელი ბილიკი;
- ✓ ავტომშენებლის ქუჩაზე დაიხაზა 94 ობიექტი;
- ✓ ავტომშენებლის ქუჩაზე შეიცვალა 52 სანათი;
- ✓ ავტომშენებლის ქუჩაზე დაისო 11 ბოძი;

დამთავრდა სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია შემდეგ ქუჩებზე:

- ✓ კოლხეთის ქუჩა N52;
- ✓ სააკაძის ქუჩა;
- ✓ შერვაშიძის ქუჩაN53;
- ✓ კ.მესხის ქუჩა;

პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს:

- ✓ მდინარე ოღასკურას კალაპოტის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია(მეხუთე მონაკვეთი);
- ✓ გ.შერვაშიძის ქუჩაზე მაგისტრალური ღვარსადენის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია;
- ✓ გ.შერვაშიძის ქუჩაზე მიმდინარეობს ტროტუარებისა და სანიაღვრე ქსელის მოწყობა;
- ✓ ფურცელაძის ქუჩაზე მიმდინარეობს არსებული სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია;
- ✓ ფურცელაძის ქუჩის სანიაღვრე ქსელის მოწყობა;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების მიმართულებით:

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- ✓ ხარებავას ქუჩა N5ბ I.II სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N6პრიმა I სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N9 II სადარბაზო მე-9 სართული;
- ✓ ხარებავას ქუჩა N9 (ჩეხური) I სადარბაზო მე-9 სართული;
- ✓ ხარებავას ქუჩა N11 I,II სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N14 I სადარბაზო მე-2 სართული;
- ✓ ხარებავას ქუჩა N 21 I სადარბაზო მე-9 სართული;
- ✓ ჩხობაძის ქუჩა N14 I სადარბაზო მე-2 სართული;
- ✓ ჩხობაძის ქუჩა N15 I სადარბაზო მე-4 სართული;
- ✓ კ.მესხის ქუჩა N1 I სადარბაზო მე-3 სართული;
- ✓ კ.მესხის ქუჩა N9;
- ✓ კ.მესხის ქუჩა N18 I,II სადარბაზო მე-2 სართული;
- ✓ ავტომშენებლის I შესახვევი N13 I,II სადარბაზო მე-2 სართული;
- ✓ ტოლსტოის ქუჩა N 3 I,II სადარბაზო მე-2 სართული;

განხორციელდა ლიფტების რეაბილიტაცია ხარებავას ქუჩაზე მდებარე მრავალსართულიან კორპუსებში:

- ✓ ხარებავას ქუჩა N2 II , III სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N4ა I, II, III სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N 6 I, II სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N7ა I სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N8 I სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N9 I, III, IV სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N9ა I სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N10 I სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N10ა I სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N11 I, II სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N18 I, II სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N19 I სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N20 I ,II სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N21 II სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N23 I სადარბაზო;

მიმდინარეობს ძველი ლიფტების დემონტაჟი და ახალი ლიფტების მონტაჟი ხარებავას ქუჩაზე მდებარე მრავალსართულიან კორპუსებში:

- ✓ ხარებავას ქუჩა N4 III სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N4ა IV სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N6 პრიმა I,II სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N7ა I,II სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N 8 III სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N9 II,IV სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N9ა II სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N20 II სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N21 I სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N 22 I სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N 23 II სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N41 I სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N 42 I სადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N 43 I სადარბაზო;

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია მიმდინარე:

- ✓ ცახელის ქუჩა N5 I სადარბაზო;
- ✓ ცახელის ქუჩა N5 II სადარბაზო;
- ✓ ცახელის ქუჩა N5 III სადარბაზო;
- ✓ ცახელის ქუჩა N5 IVსადარბაზო;
- ✓ ხარებავას ქუჩა N5ბ II სადარბაზო;

- ✓ ხარებავას ქუჩა N20 I სადარბაზო;

განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალის შეძენა-გადაცემა და დაზიანებული სახურავების (ბრტყელი, ქანობიანი) კაპიტალური შეკეთება:

- ✓ ავტომშენებლის ქუჩა N39;
- ✓ ავტომშენებლის ქუჩა N15;
- ✓ ავტომშენებლის I შესახვევი N13 I და II სადარბაზო;
- ✓ ჩხობაძის ქუჩა N 9;
- ✓ ჩხობაძის ქუჩა N14 ჩხობაძის ქუჩა N15;
- ✓ ხარებავას ქუჩა N21;
- ✓ კ. მესხის ქუჩა N1;
- ✓ კ.მესხის ქუჩა N9;

განხორციელდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისთვის საპარკე ძელსკამების შეძენა-მონტაჟი შემდეგ მისამართებზე:

- ✓ შერვაშიძის ქუჩა N53 (3ცალი);
- ✓ ხარებავას ქუჩა N 23 (2 ცალი);

განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა :

- ✓ ავტომშენებლის ქუჩა N30;
- ✓ ძოძუაშვილის ქუჩა N16;

წინასაარჩევნო პერიოდში სისტემატურად ვმართავდი შეხვედრებს მოქალაქეებთან, ვისმენდი მათ პრობლემებსა და საჭიროებებს. მაჟორიტარად არჩევის შემდეგ, რა თქმა უნდა, გავაგრძელე მოქალაქეებთან აქტიური კომუნიკაცია, მათი პრობლემების მოსმენა და მათი გადაჭრის გზების მოძიება

ამჟამად, განხორციელებული მაქვს 38 შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც წლის განმავლობაში შევხვდი 150-მდე მოქალაქეს. მოქალაქეთა საჭიროებების გათვალისწინებით, მატერიალური დახმარება გავუწიე 48 მოქალაქეს, ჯამში 15400 ლარის ოდენობით.

სოციალური ღონისძიებების ფარგლებში მიმდინარე წელს ავტოქარხნის მუნიციპალიტეტში (ავტომშენებლის და ავტოქარხნის საარჩევნო ოლქში) მცხოვრებმა ბენეფიციარმა მიიღო 100 ლარიანი სასაჩუქრე ბარათი (704 აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისთვის და 710 ახალი წლისთვის).

ამასთანავე, მიმდინარე წლის განმავლობაში განხორციელდა მოქალაქეების მიერ წამოჭრილი პრობლემებისა აღრიცხვა, ადგილზე გასვლა მათი აღმასრულებელი რგოლისთვის გადაგზავნა. აღნიშნული საკითხები გათვალისწინებული იქნება 2027 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, შესაბამისი პრიორიტეტების განსაზღვრით, რათა არსებული პრობლემების ეტაპობრივი მოგვარება და მოსახლეობის საჭიროებებზე შესაბამისი რეაგირება უზრუნველყოფილ იქნეს.

ჩემი საქმიანობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მხოლოდ ავტომშენებლის ოლქის მაჟორიტარის საქმიანობით არ შემოიფარგლება. ამასთანავე, ვარ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების წევრი.

ფრაქცია „ქართული ოცნება“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილის სტატუსით აქტიურად ვმონაწილეობ ფრაქციის საქმიანობაში. მონაწილეობა მაქვს მიღებული ფრაქციის ყველა(სულ18) სხდომაში, სადაც განხილული იქნა 21 საკითხი. ჩემი საქმიანობა მოიცავს საკითხების ინიცირებას, არსებული პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათი გადაჭრის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, ასევე მიმდინარე პროცესების კონტროლსა და მონიტორინგს.

საფინანსო -საბიუჯეტო კომისია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრის სტატუსით აქტიურად ვარ ჩართული კომისიის მუშაობაში და მონაწილეობას ვიღებ მის სხდომებსა და საკითხების განხილვის პროცესში. მონაწილეობა მაქვს მიღებული კომისიის ყველა სხდომაში (სულ 12 სხდომა) განხილული იქნა 32 საკითხი.

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრის სტატუსით აქტიურად ვარ ჩართული კომისიის მუშაობაში და მონაწილეობას ვიღებ მის სხდომებსა და საკითხების განხილვის პროცესში. მონაწილეობა მაქვს მიღებული კომისიის ყველა სხდომაში (სულ 15 სხდომა განხილული იქნა 58 საკითხი).

დასასრულს, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს გუნდს — თითოეულ თქვენგანს: ადმინისტრაციულ ერთეულში მომუშავე თითოეულ თანამშრომელს, ასევე ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩემი გულშემატკივარი და ამომრჩეველია. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ავტომშენებლის ოლქის მოქალაქეები დარწმუნებული იყვნენ იმაში,

რომ მათი პრობლემები არ დარჩება ყურადღების მიღმა, მჯერა რომ ნდობა, ყოველდღიური შრომით, გულწრფელობით და პასუხისმგებლობით მოიპოვება.

ვგრძნობ თქვენს მხარდაჭერასა და თანადგომას, თითოეული თქვენგანის შრომა, ერთგულება და გვერდში დგომა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით შევძელით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება. მინდა ავღნიშნო, რომ წინ კიდევ ბევრი დიდი, საინტერესო და მნიშვნელოვანი საქმე გველოდება. დარწმუნებული ვარ, ერთობლივი მუშაობით კიდევ არაერთ წარმატებას მივაღწევთ ,რადგან ჩვენი საქმიანობის მთავარი მიზანი არა მხოლოდ გაკეთებული საქმეების სტატისტიკაა, არამედ რეალური შედეგები, რომელიც თითოეული მოქალაქის ცხოვრებაზე აისახება.

კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა თითოეულ თქვენგანს ნდობისთვის, მხარდაჭერისთვის, თანადგომისა და იმ საქმისთვის, რომელსაც ერთად ვაკეთებთ!

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი: ალეკო თამაზაშვილი